საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/92

ქ. ბათუმი 19 ივლისი 2018 წ.

,,ბსუ-ში აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის 2018 წლის ზაფხულში ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივლისის N 01-08/89 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ,,ბსუ-ში აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის 2018 წლის ზაფხულში ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუს რექტორის 2018 წლის 13 ივლისის N 01-08/89 ბრძანებაში, კერძოს 1.2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,ბ) საპროცედურო კომისიაში მიღებული დოკუმენტაცია შესაბამის საკონკურსო კომისიას გადასცეს არაუგვიანეს 2018 წლის 22 ივლისის 17 სთ-სა."
2. ბრძანება მიეთვისოს ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივლისის N 01-08/89 ბრძანებას და ჩაბარდეს ამავე ბრძანებით შექმნილ საპროცედურო კომისიას და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**